თანხმობა

შ.პ.ს. "აზიმუტი პლიუსი"-ს დირექტორი მარეხი ბერმამუკელი პ/ნ: 01008046694 თანახმაა ს.კ 01.19.25.001.325 მიწის ნაკვეთზე მოხდეს პროექტის კორექტირება ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ.

დირექტორი: მ.ბერმამუკელი



16.04.21 წელი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №86

2021 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021272) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“ 27^1 მუხლის:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებული ობიექტის განაშენიანების ფართობის გაზრდას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, დასაშვებია, თუ მთელ ამ ობიექტზე გათვალისწინებული იქნება „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებითა და ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები.“.

2. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შეცვლილი სამშენებლო დოკუმენტის პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის აღების საჭიროების შემთხვევაში, მისი აღების პროცედურა უნდა შეეხოს მხოლოდ იმ ნაწილებს, რომლებიც სამშენებლო დოკუმენტით არ ყოფილა განსაზღვრული, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 1 20 02797829

02/12/2020

მოქალაქე თამარ ქურთაულს
ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 15, ბინა 30
თქვენს 2020 წლის 1 დეკემბრის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

ქალბატონო თამარ,

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ. თბილისში, იგოეთის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.25.001.397) შესასვლელ-გამოსასვლელი გზის, სამშენებლო დამცავი ღობის მოწყობის და საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი დროებითი და მუდმივი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს მ/წლის 19 აგვისტოს QN1767576 შუალედურ გადაწყვეტილებას და ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (მ/წლის 30 ნოემბრის 16-01203352833) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01203352833**
თარიღი: **30/11/2020**
პინი: **8656**

ადრესატი: პაატა ხეჩუმაშვილი
პირადი ნომერი: 31001008335
მისამართი: დიდი დიღომი მირიან მეფის 103

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო პაატა,

თქვენი მ/წლის 21 ნოემბრის განცხადების (მერიაში რეგისტრაციის №19/012032665-16; 21.11.2020წ.) პასუხად, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, იგოეთის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.25.001.397) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებას, გაცნობებთ, წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილების შემთხვევაში სქემა ხელახლა საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

შენიშვნა: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/tAT9xDhIwXhOJKl

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ქალაქი თბილისი, იბოეთის ქუჩა, N2ბ

ს/კ: 01.19.25.001.397

სამეურნეო და საწარმოო ობიექტის

მშენებლობისთვის

საბზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

საბზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მ. 1:1000

შემოწმა - უშანგი სტურუა
საკ. ნომერი 551 371 441

შემსრულებელი - ბიორგი კახაძე
საკ. ნომერი 571 260 062



ქალაქი თბილისი, იმერეთის ქუჩა, N2ბ

ს/კ: 01.19.25.001.397

სამეურნეო და საწარმოო ობიექტის მშენებლობისთვის

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

დამონტაჟებული დროებითი სამშენებლო ღობე

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მ. 1:1000

შემოწმა - შშანები სტურუა
საკ. ნომერი 551 371 441

შემსრულებელი - გიორგი კახაძე
საკ. ნომერი 571 260 062



პირობითი ნიშნები:

- მედროშე 4 ადამიანი
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- საჭიროთა ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- ყვითელი ციმციმა 2 ც.
- სასიგნალე ლენტი

დროებითი საგზაო ნიშნები:

1.26	4 - ცალი
3.20	2 - ცალი
8.2.1	2 - ცალი
3.24	2 - ცალი
3.24	2 - ცალი
5.19.1 5.19.2	4 - ცალი
3.10	2 - ცალი
2.4	1 - ცალი

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე განლაგების და ბუფერული ზონები არ ეწყობა.
3. სამშენაოთა წარმოების ზონის სიგრძე შეადგენს 24მ-ს.
4. ჭვეითთა უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს ოთხი მედროშე, რომლებიც აძლევენ მცირეტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილსა და ჭვეითებს სქემაზე აღნიშნულ მათთვის განკუთვნილ მიმართულებას.

ქალაქი თბილისი, იბერიის ქუჩა, N2ბ	საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
ს/კ: 01.19.25.001.397	
სამეურნეო და საწარმოო ობიექტის მშენებლობისთვის	
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა	მ. 1:1000
დროებითი სამშენებლო ღობის მონტაჟი-დემონტაჟი	

შემომწმა - შშანები სტურუა
საკ. ნომერი 551 371 441

შემსრულებელი - გიორგი კახაძე
საკ. ნომერი 571 260 062



პირობითი ნიშნები:

- მედროშე 4 ადამიანი
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- საქვეითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- ყვითელი ციმციმა 2 ც.
- სასიგნალე ლენტი
- საგზაო ბარიერი

დროებითი საგზაო ნიშნები:

1.26	4 - ცალი
3.20	2 - ცალი
8.2.1	2 - ცალი
3.24 (20)	2 - ცალი
3.24 (40)	2 - ცალი
5.19.2 / 5.19.1	4 - ცალი
3.10	2 - ცალი
3.2	1 - ცალი
2.4	1 - ცალი

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე განდევნის და ბუფერული ზონები არ ექყობა.
3. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე შეადგენს 7მ-ს.
4. ქვეითთა უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს ოთხი მედროშე, რომლებიც აძლევენ მცირეტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილსა და ქვეითებს სქემაზე აღნიშნულ მათთვის განკუთვნილ მიმართულებას.

ქალაქი თბილისი, იგოეთის ქუჩა, N2ბ
ს/კ: 01.19.25.001.397
სამეურნეო და საწარმოო ობიექტის მშენებლობისთვის
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა შესასვლელის მოწყობისთვის

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მ. 1:1000

შეამოწმა - უშანგი სტურუა
საკ. ნომერი 551 371 441
შემსრულებელი - გიორგი კახაძე
საკ. ნომერი 571 260 062